# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№32/06/05/156 06 მაი 2015 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება გენერალური დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებელი თ.ჯავახიშვილი (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ მცირე მეწარმე "სილომონ მუსოევი" /შემდგომში მიმწოდებელი/ ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების ობიექტია შეუფერხებლად და ხარისხიანად უზრუნველყოს მიმდინარე წლის 6 დან 10 მაისის ჩათვლით ბაზალეთის ტბაზე სპორტსმენების ვარჯიშების ჩასატარებლად და ნავების ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის დაქირავებული მიკროავტობუსით მომსახურება 150 ლარით.

**CPV კოდი – 60130000** - სპეციალური დანიშნულების საავტომობილო სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურებები

## 2. საქონლის მიწოდების ვადა და დირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან ------ 10 -------დღის ვადაში
2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: ზურაბიშვილი, ეჭიკაიძე.
4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების ყველა პირობა და განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უმაღლეს დონეზე.
5.3 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 ხელშეკრულების არშესრულების შემთხვევაში დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.2 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს გაერთიანების საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი ეჭიკაიძე

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ანდა დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.